წერილის ნომერი: **14-1422280238**
თარიღი: **07/10/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 08 სექტემბერს შემოსული თქვენი №09-02-16/563 კორესპოდენციის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ავარიული საცხოვრებლი სახლების შესწავლისა და მდგომარეობის შეფასების მიზნით გატარებული იქნა სხვადასხვა ღონისძიებები.

ა(ა)იპ ,,საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დაკვეთით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე ავარიულ სახლებზე ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად ლევან სამსახაურლის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საექსპერტო მომსახურეობის გაწევაში ბიუჯეტიდან გადახდილია 2019-2022 წლებში - 231530,7 (ორას ოცდათერთმეტი ათას ხუთას ოცდაათი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი.

ავარიულ საცხოვრებელ სახლებზე ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების მომზადების ერთ-ერთი საფუძველია უძრავი ქონების მესაკუთრეთა ამხანაგობების მომართვა, საექსპეტო დასკვნის მომზადებამდე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს მიერ ხდება შენობა - ნაგებობის ვიზუალური დათვალიერება, საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. არის შემთხვევები როდესაც მოქალაქეების დაკვეთით ხორციელდება საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა.

ზემოთ ხსენებული საკითხების მოგვარების მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №g-15.15221684

განკარგულებით მიღებული იქნა წესი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების შესახებ.

წესის განხორციელების საფუძველია, მათ შორის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ავარიული სახლების ჩანაცლების“ პროგრამა/ქვეპროგრამა.

დანართი: ,,17“ ფურცელი.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge